ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7624651

ნომერი: AR11106193

თარიღი : 02.09.2025

გაცემის თარიღი : 12.09.2025

გაცნობის თარიღი : 12.09.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კრწანისის შესახვევი N17 ; ქალაქი თბილისი , კრწანისის შესახვევი N17 ; ქალაქი თბილისი , შესახვევი კრწანისი , N 17(ნაკვ.12/59) ; ქალაქი თბილისი , შესახვევი კრწანისი , N 17(ნაკვ.12/60) ; ქალაქი თბილისი , შესახვევი კრწანისი , N 17(ნაკვ.12/61);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ არჩვაძე პ/ნ 62001005662
- სოხუმი კომკავშირის გზატ. N 39

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 12 აგვისტოს №7589446 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 2 სექტემბერს №AR11106193 განცხადებით მომართა ვახტანგ არჩვაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2025 წლის 12 აგვისტოს №7589446 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 12 აგვისტოს №7589446 ბრძანებით, №01.18.06.012.148 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია 2025 წლის 26 ივნისის №7532121 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის 162.15 კვ.მ. ფართობის დაფიქსირება. ამასთან, ტექნიკური-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად 7586.57 კვ.მ-ის ნაცვლად 7586.3 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 3357.4 კვ.მ-ის ნაცვლად 3331.97 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1540.51 კვ.მ-ის ნაცვლად 1697.8 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 192.2 კვ.მ-ის ნაცვლად 194.76 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 2583.56 კვ.მ-ის ნაცვლად 2586.13 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 15260.24 კვ.მ-ის ნაცვლად 15396.96 კვ.მ-ის, აგრეთვე, საპროექტო შენობის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობად (კ2) 10261.56 კვ.მ-ის ნაცვლად 9154.15 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული გეგმები და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო. ამასთან, შეთანხმებული -9.90, -6.60 და -3.30 ნიშნულების გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება აღნიშნული ნიშნულების წარმოდგენილ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 12 აგვისტოს №7589446 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 12 აგვისტოს №7589446 ბრძანებაში და:
1.1. ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 162.15 კვ.მ. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 7586.3 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 3331.97 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 1697.8 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 194.76 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 2586.13 კვ.მ., საერთო ფართობად - 15396.96 კვ.მ.
1.2. “კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში)” გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: კ2=9154.15/4680=2.0
2. სამსახურის 2025 წლის 12 აგვისტოს №7589446 ბრძანებით შეთანხმებული -9.90, -6.60 და -3.30 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 12 აგვისტოს №7589446 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 12 აგვისტოს №7589446 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.